სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც შეთანხმებულია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ და სს „ნოვა ტექნოლოჯის“ შორის, თანახმად, მხარეებს შორის 2014 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა.

წინამდებარე პირობები (შემდგომ „პირობები“) არეგულირებს სამმხრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშვება ბანკს, კომპანიას და კლიენტს შორის, კლიენტის PAYCARD – ის საბარათე ანგარიშიდან თანხების განკარგვასთან დაკავშირებით.

1. წარმოადგენს რა PAYCARD–ის (შემდგომ „ბარათი“) მფლობელს, წინამდებარე პირობების საფუძველზე, კლიენტი აღიარებს და უცხადებს ბანკს და კომპანიას რომ PAYCARD–ის საბარათე ანგარიშთან მიმართებით კომპანია წარმოადგენს კლიენტის წარმომადგენელს და კომპანიის მიერ ბანკის წინაშე გამოხატული ნება ჩაითვლება კლიენტის მიერ გამოვლენილად. შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კლიენტის სახელით ბანკს წარუდგინოს ელექტრონული საგადახდო დავალება კლიენტის საბარათე ანგარიშიდან გადარიცხვების განხორციელების შესახებ, რომელი დავალების მიხედვით გადახდის მიმღები იქნება კომპანია.
2. კლიენტის მიერ კომპანიის საშუალებით საგადახდო დავალების ინიცირებისას, ბანკის მიერ კლიენტს ტელეფონის ნომერზე ეგზავნება დადასტურების კოდი.
3. როგორც კომპანიისათვის, ისე კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ კლიენტის სახელით კომპანიის მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალება ბანკის მიერ შესრულდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლიენტი მიღებულ დადასტურების კოდს შეიყვანს იმ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელი პროგრამული უზრუნველყოფითაც კლიენტი ახდენს გადახდის ინიცირებას (ავალებს კომპანიას, რომ მისი სახელით წარუდგინოს ბანკს ელექტრონული საგადახდო დავალება).
4. კლიენტს დადასტურების კოდი ეგზავნება მის მიერ ბანკისათვის გაცხადებულ ტელეფონის ნომერზე. ტელეფონის ნომრის ცვლილების შესახებ კლიენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს ბანკს და კომპანიას.
5. თუ ელექტრონულ დავალებაში მითითებული თანხა აღემატება კლიენტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს ან ანგარიშებზე არსებული სახსრების განკარგვა შეუძლებელია საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვის გამო, ბანკი არ ასრულებს ელექტრონულ დავალებას.
6. კომპანია, როგორც კლიენტის წარმომადგენელი, ბანკს დავალებებს გადასცემს ელექტრონული საგადახდო დავალების სახით, რომელი დავალების მიწოდების და განხორციელების წესი განსაზღვრულია კომპანიასა და ბანკს შორის არსებული შეთანხმებით.
7. გადახდების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. თუ კლიენტის ანგარიშზე თანხა განთავსებულია უცხოურ ვალუტაში, ბანკი კონვერტაციას ლარში ახორციელებს ბანკის კომერციული კურსით.
8. კლიენტს და ბანკს შორის ყველა ის ურთიერთობა, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე პირობებით და დაკავშირებულია ბანკის მიერ საბარათე ანგარიშით მომსახურებასთან, რეგულირდება საბანკო ბარათით მომსახურების პირობებით.
9. კლიენტს და კომპანიას შორის ყველა ის ურთიერთობა, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე პირობებით და დაკავშირებულია კომპანიის მიერ

ელექტრონული ანგარიშით მომსახურებასთან, რეგულირდება სტანდარტული პირობებით, რომელიც განთავსებულია კომპანიის საიტზე www. paybox.ge

10. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკს უფლება აქვს კლიენტის მიერ საბარათე ანგარიშიდან ან ბარათის რეკვიზიტების გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია (გადახდის განხორცილების დრო, ადგილი, გადახდის ოდენობა, გადახდის მიმღები და ა.შ) აცნობოს კომპანიას.
11. კლიენტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კომპანიის საბილინგო სისტემაში არსებული კლიენტის ელექტრონული ანგარიში რეგისტრირებულია მის მიერ და იგი სრულად განკარგავს ანგარიშზე არსებულ სახსრებს.
12. კლიენტისათვის ცნობილია ის გარემოება, რომ ელექტრონულ ანგარიშზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით შეიძლება გავრცელდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, მათ შორის: ინკასო და ყადაღა.
13. კლიენტი აცხადებს თანხმობას და ანიჭებს უფლებას კომპანიას, კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე მოიპოვოს და დაამუშაოს მისი პერსონალური ინფორმაცია შესაბამისი ორგანოებიდან (მონაცემთა დამმუშავებლიდან) თანახმად პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა.
14. კლიენტი აცხადებს წინასწარ დასტურს მასზედ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით, მას მესამე პირების მიმართ წარმოეშობა იმ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, რომელი თანხაც მან გადაიხადა PAYCARD-ის საშუალებით და ამასთან აღნიშნულ გადახდასთან დაკავშირებით მას დარიცხული აქვს cash-back -ი (PAYCARD-ის საშუალებით განხორციელებული გადახდაზე, გახარჯული თანხის ნაწილის უკან დაბრუნების ოპერაცია) იგი ვალდებულია მიღებული cash-back -ი სრულად დაუბრუნოს კომპანიას.
15. კომპანია უფლებამოსილია მე-14 მუხლში მითითებული გარემოებების დადგომისას, კლიენტის დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, კლიენტის ფულადი ვალდებულება მიიღოს შემდეგი გზით: მესამე პირის მიერ თანხის დაბრუნებისას კლიენტს უაქცეპტოდ დაუკავდება მის მიერ cash-back -ის სახით მიღებული თანხა. კლიენტის ელექტრონულ ანგარიშზე არსებული ბალანსიდან კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე ჩამოჭრის გზით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის PAYCARD-ის ელექტრონულ ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა კომპანია უფლებამოსილია მისი მოთხოვნა კლიენტის წინაშე დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან ან დადებითი ნაშთიდან, რომელიც კლიენტს გააჩნია ან შემდგომში გაუჩნდება კომპანიის მიმართ.
16. ნებისმიერი დავა, გამომდინარე წინამდებარე პირობებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, გასვლასთ ან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათშორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N 205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები

აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობას და ააღსრულებას.

17. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).
18. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში ან/და ტარიფებში და შეცვლილი სახით განათავსოს ისინი ვებ გვერდზე.